ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1581365

ნომერი: AR1259573

თარიღი : 20.10.2014

გაცემის თარიღი : 06.11.2014

გაცნობის თარიღი : 07.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ატენის ქუჩის შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჩახტაური პ/ნ 01011023976
- თბილისი მთისძირის ქ. N 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 20 ოქტომბერს AR1259573 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე დავით ჩახტაურმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.199) ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

სამსახურმა საკითხი, ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის თაობაზე, წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი #37) განსახილველად.

„ზონალური“ კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის საკითხს.

“ზონალური კომისიის“ 2014 წლის 30 ოქტომბრის სხდომის (ოქმი #37) რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე დავით ჩახტაურს ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.199) ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.